

16/1355
15.04.10

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო
რეესტრის ეროვნული სააგენტოს ყაზბეგის
სარეგისტრაციო სამსახურს

გაცნობებთ, რომ მოქ. ი. ენუქიძესა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შორის 2010 წლის 15 აპრილს ნოტარიული წესით გაფორმებული იქნა ხელშეკრულება, ყაზბეგის რაიონის, სოფ. გუდაურში მდებარე შენობა-ნაგებობის მე-4 სართულზე №69 ბინის საერთო ფართით საერთო ფართით 79.5 კვ.მ უსასყიდლოდ სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გთხოვთ, შეიტანოთ ცვლილება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ გაცემულ №882010558183 ამონაწერში (მიწის /უძრავი ქონების/ საკადასტრო კოდი №74.06.11.046.01.069), კერძოდ: მოქ. ირაკლი ენუქიძის საკუთრებაში რეგისტრირებული ყაზბეგის რაიონის, სოფ. გუდაურში მდებარე შენობა-ნაგებობის მე-4 სართულზე №69 ბინა საერთო ფართით საერთო ფართით 79.5 კვ.მ დაარეგისტრიროთ სახელმწიფო საკუთრებაში და გასცეთ ახალი ამონაწერი.

წერილთან ერთად გივზავნით ნოტარიული წესით 2010 წლის 15 აპრილს გაფორმებულ უძრავი ქონების ხელშეკრულებას და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ გაცემულ №882010558183 ამონაწერს.

ამასთან ერთად გაცნობებთ, რომ შესაბამისი ქმედების განხორციელებაზე უფლებამოსილება ენიჭება საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების მართვის პოლიტიკისა და პრივატიზების დეპარტამენტის მთავარ სპეციალისტს ოთარ ვახტანგიშვილს.

დანართი: 6 ფურცელი.

გიორგი ბაქრაძე

სახელმწიფო ქონების მართვის
პოლიტიკისა და პრივატიზების
დეპარტამენტის უფროსი

